

შპს“კავტრექსლოგისტიკი“-ს

საწყისი ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ასარჩევი

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3-4
სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....	5-6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-13

ფინანსური მდგომარეობა

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები

შენიშვნები		31-12-2020	31-12-19	31-12-18
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	707,436	691,378	566,569
სავაჭრო მოთხოვნები	7	1,140,668	1422,316	837,460
გადახდილი ავანსები		79,822	58,442	62,402
მარაგები		-	-	-
მზა პროდუქცია		-	-	-
სხვა		-	-	-
საინვესტიციო ქონება		-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	8	230	1468	1680
ბიოლოგიური აქტივები		-	-	-
თვითღირებულების მოდელით		-	-	-
გადაფასების მოდელით		-	-	-
გუდვილი		-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები		-	-	-
ძირითადი საშუალებები	5	104,051	128,647	76,550
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-	-
სულ აქტივები		2,032,207	2,302,251	1,544,661

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	10	608,827	1,356,425	1,025,396
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	11	-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	-	124,613
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-	-
მიღებული გრანტები		-	-	-
სხვა ვალდებულებები	12	278,080	462,430	57,885
სულ: ვალდებულებები		886,907	1,818,855	1,207,894

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	13	2000	2000	2000
საემისიო შემოსავალი		-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		1,143,300	481,396	334,767
გადაფასების რეზერვი		-	-	-
სხვარეზერვები		-	-	-
სულ: საკუთარი კაპიტალი		1,145,300	483,396	336,767
სულ: საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,032,207	2,302,251	1,544,661
სულ: მოკლევადიანი აქტივები		2,032,207	2,302,251	1,544,661
სულ: მოკლევადიანი ვალდებულებები		886,907	1,818,855	1,207,894

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		2020წელ	2019წელი
ნეტო ამონაგები		28,012,397	32,864,713
საქონლის გაყიდვიდან		-	-
მომსახურების გაწევიდან	3	28,012,397	32,857,574
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-	-
სხვა		-	7,139
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
საწყისი მარაგები		-	-
მარაგების შესყიდვა		-	-
გადამუშავების დანახარჯები		-	-
საბოლოო მარაგები		-	-
საერთო მოგება		28,012,397	32,864,713
სხვა შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)		(827,454)	(1,202,650)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)		(25,366)	(21,175)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი (-)		-	(2,322)
იჯარის ხარჯი (-)		(81,077)	(99,237)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	4	(26,096,355)	(30,324,590)
სულ საოპერაციო ხარჯები		(27,030,252)	(31,649,974)
საოპერაციო მოგება		982,145	1,214,739
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსურია ქტივები (-)		-	-
მარაგები (-)		-	-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)		-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		81,887	41,406
მიღებული დივიდენდები		-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(29,290)	(18,662)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		1,034,742	1,237,483
მოგების გადასახადი (-)	5	(87,838)	(103,354)
მოგება/(ზარალი)		946,904	1,134,129
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		-	-

ძირითადი საშუალების (მათ შორის სბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელი ანიპროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	946,904	1,134,129
საკუთარი კაპიტალის საწყისინაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	483,396	336,767
ახალია ქციების გამოშვება (შპს-სშ ემთხვევაში 'კაპიტალისგაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(285,000)	(987,500)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,145,300	483,396

საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2020 წელი	2019 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	26,891,172	32,328,618
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-	-
წმინდაზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(26,957,001)	(32,245,215)
სავალუტო კურსის ეფექტი	81,887	41406
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	691,378	566,569
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	707,436	691,378

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კავტრექსლოგისტიკა“ (ს/ნ 211338961) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 1997 წლის 07 აპრილს N5ა/4-1099. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თბილისი, ყიფშიძის №9ბ. იურიდიული მისამართი არის საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ.ყაზბეგის გამზ., N 12ა. შპს „კავტრექსლოგისტიკი“-ს მესაკუთრე არიან: ავთანდილ ცხოვრებაძე 3/5 02025002917-93%, ვლადიმერ ლომიძე 3/5 57001012517. კომპანიის დირექტორი არის ვლადიმერ ლომიძე

(3/657001012517). კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საერთაშორისო სატრანსპორტო-საექსპედიტორო მომსახურება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება ყოველი კალენდარული თვის ბოლოს და მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებილია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშევა. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებები სანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ან ალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები (პროცენტი):

ძირითადი საშუალებების დასახელება სასარგებლო გამოყენების ვადა

სატრანსპორტო საშუალებები 5-10წელი

კომპიუტერები და სხვა საოფისე ინვენტარი 5-10წელი

ავეჯი 10-15წელი

სხვა ძირითადი საშუალებები 5-10წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ამონაგები

	<u>2020 წელი</u>	<u>2019 წელი</u>
		ლარი
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	28,012,397	32,857,574
სულ	28,012,397	32,857,574

4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	<u>2020 წელი</u>	<u>2019 წელი</u>
		ლარი
სატრანსპორტო-საექსპედიტორო ინსპექტირების მომსახურების და სარკინიგზო გადაზიდვების ხარჯი	25,946,239	30,171,604
საკანცელარიო ხარჯი	3,789	1,881
საოფისე ხარჯი	29,345	30,279
ავტომობილების შეკეთების ხარჯი	3,628	-
ბანკის მომსახურების ხარჯი	84,107	72,489
დაზღვევის ხარჯი	10,930	9,943
მივლინების ხარჯი	-	-
საგადასახადო ხარჯი	1,163	1,026
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	12,628	13,963
სხვა ხარჯი	4,526	23,406
სულ	26,096,355	30,324,590

5. მოგების გადასახადი

2020 წლის საანგარიშო პერიოდში გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 479,053 ლარი, განაწილებული იყო 2018-2019 წლების გაუნაწილებელი მოგებიდან და შესაბამისად, დაიბერა მოგების გადასახადით, რამაც შეადგინა 84,539(479,053/0,85*0,15) ლარი. სხვა მოგებით დასაბეგრი ბრუნვა შეადგინა 21995,27ლარი და დაიბერა მოგების გადასახადით 3,299 ლარით

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	<u>2020 წელი</u>	<u>20189წელი</u>
	ლარი	ლარი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	316,812	156,691
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	390,624	534,687
სულ	707,436	691,378

7. სავაჭრო მოთხოვნები

	<u>2020 წელი</u>	<u>2019 წელი</u>
	ლარი	ლარი
მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	1,140,668	1,422,316
სულ	1,140,668	1,422,316

8. სხვა მიმდინარე აქტივები

	<u>2020 წელი</u>	<u>2019 წელი</u>
	ლარი	ლარი
მოთხოვნები ანგარიშვალდ. პირის მიმართ	0	0

9. ძირითადი საშუალებები

	შენიშნა- ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა/ ინვენტარი	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება			

ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	0	294713	294713
შემოსულები	0	770	770
გასაცემები	0	0	0
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	295483	295483
ცვეთა/ამორტიზაცია			
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	0	166066	166066
ცვეთის დანარიცხი	0	25366	25366
გასვლები	0	-	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	191432	191432
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	104051	104051
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	0	128647	128647

11. საგადასახადო ვალდებულებები

	2020 წელი ლარი	2019 წელი ლარი
ხაზინის ერთიანი აბგარიში	(79,822)	(58,442)
სულ	(79,822)	(58,442)

12. სხვა ვალდებულებები

2020 წელი	2019 წელი
-----------	-----------

გადასახდელი დივიდენდი	ლარი	ლარი
სულ	278,080	462,430
	278,080	462,430

13. საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2020 წლის 01 იანვრისთვის შეადგენს 2000 ლარს და მას სრულად ფლობენ დამფუძნებლები.

- ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 24 სექტემბერს

შპს "კავტრექსლოგისტიკის"

დირექტორი /ვ. ლომიძე/

12. სხვა ვალდებულებები

	<u>2020 წელი</u>	<u>2019 წელი</u>
	ლარი	ლარი
გადასახდელი დივიდენდი	278,080	462,430
სულ	278,080	462,430

13. საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2020 წლის 01 იანვრისთვის შეადგენს 2000 ლარს და მას სრულად ფლობენ დამფუძნებლები.

- ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 24 სექტემბერს

შპს "კავტრექსლოგისტიკის"

დირექტორი *ვ. ლომიძე* /ვ. ლომიძე/

